



ღადო გუდიაშვილის პარიზული დღესასწაული

ნინო ქავთარაძე

ღადო გუდიაშვილის „პარიზული დღესასწაული“ მაშინ დაიწყო, როდესაც საქართველოს რესპუბლიკამ რამდენიმე ახალგაზრდა შემოქმედი სასწავლებლად საფრანგეთში გაგზავნა. მათ შორის ღადო გუდიაშვილიც იყო. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამით პარიზში გუდიაშვილთან ერთად გაემგზავრნენ ელენე ახვლედიანი, შალვა ქიქოძე, ქეთევან მაღალაშვილი, დავით კაკაბაძე. თავის მოგონებებში ღადო გუდიაშვილი წერს, რომ პარიზში „პატარა ქართული კუნძული“ შეიქმნა.

გუდიაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიას თვალს თუ გადავავლებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ საფრანგეთში გამგზავრებამდე იგი უკვე ჩამოყალიბებული მხატვარი გახლდათ – თვითმყოფადი ხელოვანი, გამორჩეული ხედვით. საქართველოში გუდიაშვილს იცნობდნენ, როგორც ცისფერყანწელთა წევრს, რესტორან „ქიმერიონის“ ინტერიერის ავტორს. მისმა ორიგინალურმა შემოქმედებამ მალევე პარიზიც ააღაპრა; თუმცა მანამდე უცხო და ამავდროულად ნაცნობი გარემო უნდა გაეთავისებინა: „ჩემი ყველაზე დიდი სიყვარული, ჩემი სამშობლოს შემდეგ, ეკუთვნის პარიზს! უდიდესი მაგიური ძალა აქვს მას ჩემთვის! ვგრძნობ მის სულს, პარიზი ჩემი სულის ნაწილიცაა... მაღლობა მას!“ – მოგვიანებით დანერს თავის მოგონებებში ქართველი მხატვარი.



ლადო გულიაშვილი (1896-1980)
და ელენე ახვლედიანი (1901-1975)



შალვა ჩიქობავა
(1894-1921)



დავით კაკაბაძე (1889-1952)

იმ ფაქტს, რომ XX საუკუნის ოციანი წლების პარიზი მსოფლიო კულტურის ცენტრად იქცა, რამდენიმე წინაპირობა ჰქონდა. XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, საფრანგეთის რესპუბლიკა ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა და პარიზს უკვე მოპოვებული ჰქონდა მსოფლიოს ინტელექტუალური დედაქალაქის ტიტული. პროგრესის სიმბოლოს 1889 და 1900 წლებში პარიზში ჩატარებული მსოფლიო გამოფენებიც წარმოადგენდა: უკანასკნელს ორმოცდაათი მილიონი მნახველი ჰყავდა.

პირველი მსოფლიო ომი დიდ საშინელებად დაატყდა თავს კაცობრიობას. ეს იყო ომი, სადაც ადამიანს პირველად მოუწია რკინის ტანკებთან, საჰაერო მანქანებთან და ქიმიურ იარაღთან შერკინება. „დიდ ომად“ წოდებული პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც საფრანგეთს არ გასჭირვებია ომისშემდგომ კრიზისთან გამკლავება, ხოლო მსოფლიო კულტურის ცენტრის სახელის დამკვიდრება ეროვნულ საქმედ იქცა. ომის საშინელებებს დაემატა მიგრაცია, რამაც გამოიწვია სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებულ კულტურათა შეხვედრა პარიზის გზაჯვარედინზე.

ახალი შთაგონების და მხატვრული ხერხების ძიებაში, საფრანგეთში სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედებმა მოიყარეს თავი. პარიზი ბაბილონის გოდოლად გადაიქცა, მაგრამ ბიბლიური კომპისგან განსხვავებით, ეიფელს თავშეფარებულთ საერთო ენა – ხელოვნების ენა აკავშირებდათ. პარიზი იქცა „საკვირველ სამოთხედ“. მისი ხიბლი იმ მწერლებმა და მხატვრებმაც განადიდეს, რომლებიც ევროპაში ჩამოვიდნენ. საფრანგეთის დედაქალაქი ხელგაშლილი შეეგება მხატვრებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებს, მწერლებს. დღესასწაული, რომელიც ყოველთვის

შენთანაა, „პარიზი – განუყრელი დღესასწაული“ – ასე მონათლა საფრანგეთის დედაქალაქი ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ერნესტ ჰემინგუემ. როგორც მისი თაობის შემოქმედებს, გერტრუდ სტაინის სახელმწიფო „დაკარგული თაობის“ წარმომადგენლებს – ფრენსის სკოტ ფიცჯერალდს, დონ ლოს პასოს, ეზრა პაუნდს... – ორ ომს შუა პერიოდის იმედდაკარგულ და იმედგაცრუებულ ახალგაზრდებს პარიზული რამპების შუქი სანატრელ ელღორადოდ ეჩვენებოდათ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში პარიზი ბომონდის მექა იყო და ქალაქის მარჯვენა სანაპიროს მალლობი – მონმარტრი – არტისტული ცხოვრების სიმბოლო. XX საუკუნის დასაწყისში მარცხენა სანაპიროზე, მონპარნასის ქუჩაზე, ერთი მეორის მიყოლებით, მსოფლიო გამო-



ქეთევან მაღალაშვილი
და ლადო გულიაშვილი



ლადო გუდიაშვილის ნახატი
კაფე „ქიქვირონის“ კედელზე



კაფე „როტონდა“

ფენიდან დარჩენილი და ხელმისაწვდომი მასალით, გაშენდა ქუჩის კაფეები – „ლე სელექტი“ (მონპარნასის 99), „ლა როტონდი“ (მონპარნასის 105), „ლე დომი“ (მონპარნასის 108), „კლოზერი დე ლილა“ (მონპარნასის 171), რომლებიც არტისტულ თავყრილობებს მასპინძლობდნენ.


პარიზული არტისტული ცხოვრება ჩქეფდა საგამოფენო დარბაზებსა თუ მხატვართა სახელოსნოებში, კაფეებსა და სასწავლებლებში... XX საუკუნის დასაწყისისთვის პარიზში რამდენიმე სამხატვრო დაწესებულება არსებობდა: აკადემიებით გამოირჩეული პარიზის ხელოვნების სკოლა, რომელიც 1817 წელს დაარსდა; შულიენის აკადემია, სადაც სწავლობდნენ ისეთი სახელოვანი მხატვრები, როგორებიც იყვნენ ლეონ ბაქსტი, ანრი მატისი, მარსელ დუშამი, გაერთიანება „ნაბის“ წარმომადგენლები, მათ შორის პოლ რანსონი, მორის დენი, პიერ ბონარი... 1904 წელს დაარსებული გრან შომიერის (კოლაროსის) აკადემია, სადაც ხელოვნებას ეუფლებოდ-

ნენ ოსიპ ცატკინი, ამადეო მოდილიანი, ფერნან ლეჟე, ანდრე ლოტი... ბევრ მათგანთან გუდიაშვილს ნაცნობობა და მეგობრობაც აკავშირებდა. ლადო გუდიაშვილმა 1908 წელს დაარსებული რანსონის აკადემია აირჩია, თუმცა აკადემიაში სწავლაზე მეტად არტისტული გარემო, მხატვრული მიმდინარეობების თვალყურის დევნება, გამოფენებში მონაწილეობა გახდა ახალი გამოცდასა და გამოცდის მიზანმიმართული ხერხების ძიების წყარო. გუდიაშვილი პარიზში იუგენსის ქუჩის 14 ნომერში დასახლდა. იგი „ხელოვნათა ქალაქს“ – ლა რუშს (la ruche ფრანგულად სკას ნიშნავს) ხშირად სტუმრობდა. XX საუკუნის დასაწყისში იქ სახლობდნენ მწერლები: ბლეზ სანდრარი, მაქს ჟაკობი, აპოლინერი, რომელმაც მარკ შაგალის ნახატებს *surnaturel* უწოდა, რაც ზებუნებრივს ნიშნავს. მხატვრები და მოქანდაკეები იქ ოჯახებითაც ცხოვრობდნენ. ლა რუშს დღესაც არტისტთა საერთო საცხოვრებლის ფუნქცია აქვს შენარჩუნებული. პირველი მსოფლიო გამოფენიდან დარჩენილი გუსტავ ეიფელის მიერ დაპროექტებული

ფრანსის სკოტ ფიცჯარალდი
(1896-1940)

ერნესტ ჰემინგუეი
(1899-1961)

ეზრა პაუნდი
(1885-1972)



ეიფელის კოშკის მშენებლობა



მეტალის კონსტრუქცია ოსიპ ცატკინის, მიშელ კიკოინის, მოიშე კისლინგის, მარი ლორანსენის, ამადეო მოდილიანის, ფერნან ლეჟეს, ალექსანდრ არხიპენკოს, ჰაიმ სუტინის და სხვა ხელოვანთათვის ნავსაყუდლად იქცა.

ქართველ მხატვრებს გაუმართლათ: მათი ნამუშევრებით სახვითი ხელოვნების კრიტიკოსები და კოლექციონერები დაინტერესდნენ, რამაც გუდიაშვილს ფინანსური გაჭირვება თავიდან აარიდა. დიდ მხატვარს გამოარჩევს არა მარტო ნიჭიერება და გამართლება, არამედ მიზანსწრაფვა და დიდი გარჯა. გუდიაშვილი ბევრს ხატავდა. შედეგმაც არ დააყოვნა: მხატვრის ნამუშევრები ბევრ საგამოფენო სივრცეში გამოიფინა: შანზ-ელიზეს დიდ სასახლეში, ლალიკორნის, ლუვრის მონუმენტალური დირექტორის – ჟოზეფ ბიეს საგამოფენო დარბაზში, რომელსაც

გუდიაშვილმა ბევრი ნამუშევარი დაუტოვა. დღეს ეს ნამუშევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში ინახება.


ლადო გუდიაშვილი მონაწილეობას იღებდა მხატვართა ყოველწლიურ საშემოდგომო და ზამთრის გამოფენებში. 1921 წელს გუდიაშვილმა თავისი ტილოები გამოფინა დამოუკიდებელ მხატვართა გამოფენაზე სერჟ ფოტინსკისთან ერთად, რომელმაც ლადოს პორტრეტი წარადგინა. პრესა არა მარტო აშუქებდა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას, არამედ კარგ რეცენზიებსაც წერდა მის ნამუშევრებზე. კლემან მორო ჟურნალში „თანამედროვე ხელოვნების და ცხოვრების შესახებ“ 1921 წლის 15 მარტს წერს:

*A propos de l'art
contemporain et
de la vie*



„ბუნების თვითმყოფადი ხედვის უნარი, რომელიც გამოარჩევს გუდიაშვილის ნახატებს (ხარები, მდინარის გადაცურვისას, მენახირეები, ნადიმი განთიადზე)... ეს მხატვარი კიდევ გაგვაოცებს თავისი ინდივიდუალურობით“.

კლემან მორო (1903-1988)



ამადეო მოდილიანი (1884-1920)

ფერნან ლეჟე (1881-1955)

ჰაიმ სუტინი (1893-1943)

მხატვრობა

1922 წლის 3 ივნისს ლა ლიკორნის საგამოფენო დარბაზი მასპინძლობდა გუდიაშვილის ნამუშევრებს. ამის შესახებ გაზეთი მკითხველს აუწყებს:

„საგამოფენო დარბაზში „ლა ლიკორნი“ გამოფენილია ქართველი მხატვრის, ლადო გუდიაშვილის, გასაოცარი ნახატები. მხატვარი მაყურებელს აოცებს ნატიფი და ამავედროულად მკაფიო მოხაზულობითა და ჭეშმარიტად აღმოსავლური ხელნერით, მკლავების, ტორსის არაბესკების ჰარმონიული ხაზებით“.

გუდიაშვილისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ესპანელი, უკვე კლასიკოსად აღიარებული მხატვრის იგნასიო სულოაგას ინტერესი მისი ნამუშევრებისადმი. მათგან პირადად ეწვია ქართველ მხატვარს და საკუთარი კოლექციისთვის რამდენიმე ტილოც შეიძინა, რომლებსაც მომავალში მადრიდის მუზეუმში უპირებდა განთავსებას.

ქართველი მხატვრის ნამუშევრებით ცნობილი ამერიკელი კოლექციონერი ჯეიმს როზენბერგი დაინტერესდა და გუდიაშვილის ტილოები ნიუ-იორკის გამოფენისთვის აარჩია.

ლადო გუდიაშვილის შესახებ ვრცელი მონოგრაფიის ავტორი, კუბიზმის მეხოტბე, ხელოვნების კრიტიკოსი მორის რეინალი, რომელსაც ასევე შესწავლილი აქვს პაბლო პიკასოს, ხუან გრის, ადოლფ ფედერის შემოქმედება, ჯერ კიდევ 1925 წლის 12 ნოემბერს გაზეთ „კომოედიაში“ წერდა გუდიაშვილის ნამუშევრების აღმოსავლურ ხიზლზე, ნუშისთვალეზე ფიგურების სინარნარზე.

1924 წლის 21 სექტემბერს ბერნარ დიუპეირამ გამოაქვეყნა სტატია საქართველოზე, სახელწოდებით „ომი მინიერ სამოთხეში“, სადაც მოკლედ მიმოიხილავდა საქართველოს ისტორიას. ავტორი საქართველოს „ოცნების და ხელოვნების“ ქვეყანას უწოდებს, რომელიც თავისი ბუნებრივი სიმდიდრის მსხვერპლი გახდა. საილუსტრაციოდ დიუპეირას ორი ფოტო აქვს გამოყენებული, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ულამაზეს, სტუმართმოყვარე, პატარა ქვეყანას: XV საუკუნის ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი და ლადო გუდიაშვილის „მეფანდურე ქალები“.

XX საუკუნის 20-იან წლებს შეშლილ წლებს უწოდებენ, რადგან ამ პერიოდში ხელოვნების ყველა დარგის განვითარება საოცარი დინამიკურობით და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ურბანული ცხოვრების წესი და მოდერნული არქიტექტურა, ამერიკული ჯაზი და კლასიკური მუსიკა, კლასიკური დრამატურგია და აბსურდის თეატრის პირველი ნაბიჯები, კინემატოგრაფიული ექსპერიმენტები, სალონური მხატვრობა და უამრავი „იზმი“: ავანგარდიზმი, მოდერნიზმი, დადაიზმი, სიურრეალიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი, ფოვიზმი, სუპრემატიზმი...



ლადო გუდიაშვილის ნახატი – ახალმო მოდილიანი კაფა „როტონდაში“

იგნასიო სულოაგა (1870-1945)






„ფიროსმანი პარიზში“

პარიზში სერჟ დიაგილევის ბალეტს დაედო ბინა. მასთან თანამშრომლობდა ლადო გუდიაშვილის მეგობარი ილია ზდანევიჩი. ლადო გუდიაშვილმა ავანგარდისტ პოეტ ილია ზდანევიჩს (ილიაზდს) მისწერა და პარიზში ჩასვლაზე დაიყოლია: ფუტურისტული პოეზიის მეხოტბეები აქ მრავლადააო და ილიამაც საფრანგეთს მიაშურა. ლადო გუდიაშვილი ილიას და მის ძმას, კირილს, ჯერ კიდევ თბილისიდან იცნობდა, სადაც ილიას კუბიფუტურისტული გაერთიანება ჰქონდა ჩამოყალიბებული – „უნივერსიტეტი 41 გრადუსი“. ძმები ზდანევიჩების, მიშელ ლე-დანტიუსს, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, დიმიტრი შევარდნაძის სახელს უკავშირდება ნიკო ფიროსმანის ხელოვნების აღმოჩენა და პოპულარიზაცია. სწორედ ზდანევიჩების ძალისხმევით, 1913 წელს მოსკოვში მოეწყო ნიკო ფიროსმანის პირველი გამოფენა, სადაც ქართველი პრიმიტივისტის ნახატები ავანგარდისტი მხატვრების, ლუჩიზმის დამაარსებელი მიხაილ ლარიონოვის და ნატალია გონჩაროვას ტილოების გვერდით იფინებოდა.

პარიზში ილია აქტიურად ჩაება არტისტულ ცხოვრებაში. ყველა წამოწყებაში მას ლადო გუდიაშვილიც გვერდში ედგა. „უნივერსიტეტი 41 გრადუსმა“ ბინა კაფე ქამელეონში დაიდო (მონპარნასის 106), რომლის ჭერი გუდიაშვილმა მოხატა, ხოლო კედლები ფუტურისტი პოეტების ლექსებით იყო გალამაზებული. ჯგუფის წევრები იყვნენ: სოფია დელონე, ოსიპ ცადკინი, ნატალია გონჩაროვა, მიხეილ ლარიონოვი, ლადო გუ-



„პიკასო მოდელთან“



პაბლო პიკასო
(1889-1963)



ლადო გუდიაშვილი და ვლადიმერ მაიაკოვსკი

ღიაშვილი, დავით კაკაბაძე... ამას მოჰყვა კიდევ ერთი გაერთიანება – „ჩერეზ“, რომლის თაოსნობით მოხდა პოეტი ავანგარდისტის ვლადიმერ მაიაკოვსკის პარიზში საზეიმო დახვედრა კაფე „პორ-რუაიალში“.

კაფე-ლუდხანები მხოლოდ შეხვედრის ადგილები არ ყოფილა. გაერთიანება „ჩერეზ“ იქ ან-ყობდა გამოფენებს, პოეზიის საღამოებს, საჯარო ლექციებს ხელოვნების თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ, ფრანგი პოეტის, გიომ აპოლინერის და პაბლო პიკასოს შემოქმედებაზე, კონსტრუქტივიზმზე... მოსაგონარია ფრანგი დადაისტების საღამო კაფე მიშელში, სადაც ვლადიმერ მაიაკოვსკი, ფრანგი მწერალი ლუი არაგონი, სიურრეალიზმის მანიფესტის ავტორი ანდრე ბრეტონი, პოეტი პოლ ელუარი გამოდიოდნენ. ჯგუფი ხშირად მართავდა გამოფენებს. 1923-1924 წლებში საგამოფენო დარბაზში „ლა ლიკორნი“, კაფე „ლა კლოზერი დე ლილაში“ და „პორ-რუაიალში“ მოენყო მხატვართა გამოფენები, სადაც ლადო გუდიაშვილის ნახატები იფინებოდა. „ჩერეზი“ მხატვართა კავშირთან ერთად საქველმოქმედო საღამოებსაც აწყობდა და გამომუშავებული თანხით გაჭირვებაში მყოფ მხატვრებს ეხმარებოდა.

პარიზი მხოლოდ თანამედროვე და ავანგარდისტული ხელოვნების დედაქალაქი როდი იყო. მასში ორი, ძველი და ახალი, დროება იყრიდა თავს, რომლებიც ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდნენ, არამედ ავსებდნენ. ოციან წლებში პარიზის ქუჩებში დადიოდნენ მსოფლიოს უდიდე-

სი მწერლები: მარსელ პრუსტი, ავტორი რომანისა „დაკარგული დროის ძიებაში“; პარიზში საცხოვრებლად ირლანდიელი ჯეიმს ჯოისი გადავიდა, რომელიც, ანა ახმატოვას აზრით, მარსელ პრუსტთან ერთად XX საუკუნის ლიტერატურის სიმბოლოა.

ბევრი სახელგანთქმული შემოქმედის თუ მსოფლიოსთვის მაშინ უცნობი ხელოვანის და ლადო გუდიაშვილის გზები გადაიკვეთა: გუდიაშვილის და იაპონელი ლეონარდო ფუჟიტას მეგობრობა წლების მანძილზე გაგრძელდა. ლადო ცნობილ ბელგიელ მხატვარ-ექსპრესიონისტ ფრანც მაზერელს, პეიზაჟისტ მორის უტრილოს, მხატვრებსა და მოქანდაკეებს – ფერნან ლეჟეს და მორის დერენს დაუახლოვდა. „ლა როტონდში“ გუდიაშვილი შეხვდა პაბლო პიკასოს, ჩარლი ჩაპლინს... კაფე-ლუდხანა „ლა როტონდის“ მეპატრონე და ხელოვანთა გულუხვი მასპინძელი ვიქტორ ლიბიონი თავის მომსახურე პერსონალს მკაცრად აფრთხილებდა: არავის ჰქონდა უფლება, მხოლოდ ერთი ფინჯანი ყავის შემკვეთისთვის მომსახურებაზე უარი ეთქვა და სამუშაო დღის ბოლომდე გაციებულ სასმელთან მჯდარი კლიენტისთვის მაგიდის განთავისუფლება ეთხოვა. ბევრი ხუმრობდა, რომ მამილო ლიბიონს ლუვრზე ნაკლები კოლექცია როდი აქვსო. ამ კაფეში ცნობილი ავანგარდისტი მხატვარი ამა-




„ჩარლი ჩაპლინი და იმპრესარიო“

დეო მოდილიანი, მწერალი, რეჟისორი და მხატვარი, საფრანგეთის აკადემიის მომავალი წევრი ჟან კოქტო ივინყებდნენ ომში გადატანილს და ყოფის სიდუხჭირეს ემალებოდნენ.

ლა როტონდში ლადო გუდიაშვილი ხშირად ხვდებოდა ამავე მოდილიანის, რომელიც გაჭირვებაში, ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა. ქართველი მხატვრების პარიზში ჩასვლამდე, ესპანური გრიპის პანდემიის დროს გარდაიცვალა XX საუკუნის უდიდესი ფრანგი პოეტი გიომ აპოლინერი. ომგამოვლილი აპოლინერი ყველა კულტურული საქმიანობის ცენტრში იყო: ქმნიდა არა მარტო ექსპერიმენტულ პოეზიას – კალიგრამებს, სადაც პოეტური ტექსტი ვიზუალურად ნახატის სახით, რომელიც, თავის მხრივ, ტექსტის ილუსტრაციას წარმოადგენს, არამედ წერდა სხვადასხვა სახელოვნებო გამოცემისთვის. აპოლინერს მიეწერება მონპარნა-

სის არტისტულ კუთხედ გარდაქმნის ინიციატივა, ტერმინი სიურრეალიზმის შექმნა და ბევრი მხატვრის ახლებურად წარმოჩენის სითამამე: მაგალითად, სოფია და სერჟ დელონეების ხელოვნებას ორფიზმი უწოდა. აპოლინერის და გუდიაშვილის შეხვედრა გარდაუვალი იქნებოდა – პოეტი ანდრე სალმონი აპოლინერის ახლო მეგობარი გახლდათ და გუდიაშვილის გულშემატკივარი.

1926 წელს დამთავრდა გუდიაშვილის ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი და განუმეორებელი ნაწილი. ოდისევსი თავის ითაკაზე დაბრუნდა, დაუბრუნდა თავის ფესვებს. ლადო გუდიაშვილიც დაბრუნდა საქართველოში, ოღონდ – არა დამოუკიდებელ ქვეყანაში, რომელიც დატოვა, არამედ გასაბჭოებულ, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკაში... ახლადწარმოქმნილ საბჭოთა საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, გუდიაშვილის გადანყვეტილებას დიდი სულიერი ძალა სჭირდებოდა. ამ ძალამ ლადო გუდიაშვილს არც მაშინ უღალატა, როდესაც 1947 წელს, ღმერთის უარმყოფელი ტოტალიტარიზმის დროს, ქაშვეთის ტაძრის კედლები ფრესკებით მოხატა ენკაუსტიკის ურთულესი მხატვრული ტექნიკით – ცხელი, ადუღებული ფერებით, განუმეორებელი, ყველასგან გამორჩეული ხელწერით შეამკო ეროვნული საგანძური და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართველთა გულებში.



ლადო გუდიაშვილი პარიზში